თინათინ შეროზია

პიარისა და კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამა

კავკასიის უნივერსიტეტის მედიის სკოლა

ლაიფციგის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტი, გერმანია

კავკასიის უნივერსიტეტში ჩაბარების შემდეგ ჩემი ერთ-ერთი მთავარი მიზანი Erasmus+ პროგრამაში მონაწილეობა იყო. 2026 წლის გაზაფხულის სემესტრის გერმანიაში, ლაიფციგის HTWK Leipzig-ში გატარება ჩემთვის არა მხოლოდ აკადემიური, არამედ პიროვნული განვითარების მნიშვნელოვანი ეტაპი აღმოჩნდა.

HTWK Leipzig-ში სწავლამ საშუალება მომცა, აკადემიური გამოცდილება განსხვავებული პერსპექტივიდან მიმეღო. International Management-ის მიმართულებით სწავლასთან ერთად, განსაკუთრებით საინტერესო იყო საერთაშორისო სტუდენტებთან ურთიერთობა. ერთი აუდიტორია სხვადასხვა ქვეყნის, კულტურისა და გამოცდილების მქონე ადამიანებს აერთიანებდა, რამაც დამანახა, რამდენად მნიშვნელოვანია საკუთარი აზრის გამოხატვასთან ერთად სხვისი აზრის გათვალისწინებაც.

საერთაშორისო გარემოში ურთიერთობამ კიდევ ერთხელ დამანახა კომუნიკაციის მნიშვნელობა - განსაკუთრებით ჩემთვის, როგორც საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის სტუდენტისთვის. სხვადასხვა ადამიანთან ურთიერთობისას სწავლობ არა მხოლოდ მათ შესახებ, არამედ საკუთარ თავზეც.

დღეს, როცა ამ პერიოდს ვიხსენებ, ვხვდები, რომ Erasmus+ ჩემთვის მხოლოდ ერთი სემესტრის ისტორია აღარ არის. ეს არის გამოცდილება, რომელიც დამეხმარა პიროვნულ განვითარებაში, კომფორტის ზონიდან გამოსვლაში, საკუთარი შესაძლებლობების რწმენის გაძლიერებასა და მიღებული შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენებაში.